

შპს ჰიდრომშენი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
6. გადახდილი ავანსები	11
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
8. სასესხო ვალდებულებები	12
9. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	12
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023 (გადაანგარიშებული)	12/31/2022 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	82,494	20,963	477,565
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	80,923	323,414	17,437
გადახდილი ავანსები	6	10,994	10,643	90,301
სხვა მიმდინარე აქტივები		11,941	17,661	72,665
სულ მოკლევადიანი აქტივები		186,352	372,681	657,968
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		721,145	759,852	796,235
არამატერიალური აქტივები		705	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		721,850	759,852	796,235
სულ აქტივები		908,202	1,132,533	1,454,203
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	12,381	57,557	124,926
მიღებული ავანსები		0	615,000	600,000
სასესხო ვალდებულებები	8	131,944	200,000	0
საგადასახადო ვალდებულებები		23,598	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		21,800	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	94,551	64,541	31,032
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		284,274	937,098	755,958
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		507,173	193,265	696,075
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		116,755	2,170	2,170
სულ საკუთარი კაპიტალი		623,928	195,435	698,245
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		908,202	1,132,533	1,454,203

დირექტორი:



ჯამბულ უბილავა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	9	1,563,804	2,547,011
მომსახურების თვითღირებულება	9	(783,419)	(1,112,573)
საერთო მოგება		780,385	1,434,438
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(72,197)	(436,129)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(200,262)	(862,614)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(87,790)	(132,579)
სხვა შემოსავლები		0	0
სხვა ხარჯები		(23,882)	(13,568)
სულ საპერაციო ხარჯები		(384,131)	(1,444,890)
საოპერაციო მოგება		396,254	(10,452)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(9,281)	(247,095)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		386,973	(257,547)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	2,170	696,075	698,245
დივიდენდის გაცემა	-	(245,263)	(245,263)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(257,547)	(257,547)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	2,170	193,265	195,435
დივიდენდის გაცემა	-	(73,065)	(73,065)
წმინდა მოგება/(ზარალი)	114,585	386,973	501,558
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	116,755	507,173	623,928

დირექტორი:



ჯამბულ უბილავა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰიდრომშენი“ დაფუძნდა 2004 წელს. კომპანიის მისამართია: საქართველო, წალენჯიხა, ქ.ჯვარი, ციმინტიას ქ. #1. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 242733930.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენენ: ბადრი არქანია (პ/ნ 51001005521) – 51%, პაპუნა არქანია (პ/ნ 51001006729) – 29%, ნუნუ დავიანტი (პ/ნ 51001001311) – 20%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ჯამბულ უბილავა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდრო ნაგებობების გვირაბების, თაღოვანი კაშხლის ფერდობების გამაგრებითი სამუშაოების შესრულება. ასევე ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2024 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე

შპს ჰიდრომშენი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021	
	(გადაანგარიშებამდე)	(გადაანგარიშებამდე)	(გადაანგარიშებამდე)	
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	20,963	477,565	1,132,654
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	323,414	17,437	1,115,671
გადახდილი ავანსები	6	242,738	90,301	0
სხვა მიმდინარე აქტივები		17,661	72,665	32,148
სულ მოკლევადიანი აქტივები		604,776	657,968	2,280,473
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		759,852	796,235	264,927
არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		759,852	796,235	264,927
სულ აქტივები		1,364,628	1,454,203	2,545,400
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	57,557	124,926	4,913
მიღებული ავანსები		0	0	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	200,000	-	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	17,377
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	64,541	31,032	15,473
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		322,098	155,958	37,763
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,040,360	1,296,075	2,505,467
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		2,170	2,170	2,170
სულ საკუთარი კაპიტალი		1,042,530	1,298,245	2,507,637
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,364,628	1,454,203	2,545,400

შპს ჰიდრომშენი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	2023 (გადაანგარიშებამდე)	2022 (გადაანგარიშებამდე)
ნეტო ამონაგები	9	2,547,011	1,713,706
მომსახურების თვითღირებულება	9	(1,112,573)	(667,039)
საერთო მოგება		1,434,438	1,046,667
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(436,129)	(427,894)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(862,614)	(694,034)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(132,579)	(74,436)
სხვა შემოსავლები		0	0
სხვა ხარჯები		0	0
სულ საპერაციო ხარჯები		(1,431,322)	(1,196,364)
საოპერაციო მოგება		3,116	(149,697)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(13,568)	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(10,452)	(149,697)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	2023 (გადაანგარიშებამდე)	2022 (გადაანგარიშებამდე)	2021 (გადაანგარიშებამდე)
ნაშთი წლის დასაწყისში	1298245	2507637	37637
წმინდა მოგება	(10,452)	(149697)	2660640
გადახდილი დივიდენდი	(245,263)	(1059695)	(190640)
ნაშთი წლის ბოლოს	1042530	1298245	2507637

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-15

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს

არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	82,494
ნაღდი ფული სალაროში	0
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	82,494

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება გაწეულ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს და მოთხოვნებს ანგარიშვალდებული პირის მიმართ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-24
სავაჭო მოთხოვნები	80735
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირის მიმართ	188
სულ სავაჭრო მოთხოვნები	80,923

6. გადახდილი ავანსები

საანგარიშებო პერიოდის კომპანიის გადახდილი ავანსები ძირითადად უკავშირდება კომპანიის ქონების გადასახადის ავანსად გადახდილ თანხებს და მომწოდებლებზე გადახდილ თანხებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-24
ქონების ავანსად გადახდილი თანხა	7,648
მომწოდებლებზე გადახდილი თანხა	3346
სულ გადახდილი ავანსები	10,994

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოშობილია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კომპანიებთან.

მათი ბალანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24
რეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	12,381
არეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	0
სულ სავაჭრო ვალდებულებები	12,381

8. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საქართველოს ბანკისგან მიღებული აქვს სესხი, რომელმაც წლის ბოლოს შეადგინა 131944 ლარი. სესხი მიღებულია ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიღებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 16%.

9. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და გაწეული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდრო ნაგებობების გვირაბების გამაგრებითი, თაღოვანი კაშხლის ფერდობების გამაგრებითი სამუშაოების შესრულება. ასევე ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები.

შესაბამისად 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ შემოსავლები მიიღო გაწეული სამშენებლო და სარემონტო მომსახურებიდან

	2024
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,563,804
მომსახურების თვითღირებულება	(783,419)
საერთო მოგება	780,385

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
კომუნალური ხარჯი	1,445
დაზღვევა	36,784
ოფისის რემონტის ხარჯი	3,582
ქონების და მიწის გადასახადის ხარჯი	11,998
საბანკო მომსახურების ხარჯი	1,430
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	16,958
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	72,197

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	51,755
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	148,507
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	200,262

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის სხვა ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება საქართველოს საპენსიო ფონდის დავალიანებას

სხვა ვალდებულებები	2024
საქართველოს საპენსიო ფონდი	92,445
სხვა ვალდებულებები	2,106
სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	94,551

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

დირექტორი:



ჯამბულ უბილავა